10.12.2012

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2012 წლის III კვარტალი (წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წლის III კვარტალში 195 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2011 წლის III კვარტალის დაზუსტებული მაჩვენებლის 62 პროცენტია.

რაც შეეხება სამი კვარტალის ჯამურ მაჩვენებელს, წინასწარი მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წლის პირველ 9 თვეში 684 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (დიაგრამა №2), რაც 6 პროცენტით აღემატება 2011 წლის სამი კვარტალის წინასწარ მონაცემებს და 12 პროცენტით ნაკლებია ამავე პერიოდის დაზუსტებულ მონაცემებზე.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2010-2012* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №2.



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2010-2012 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2012 წლის III კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 400 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 9 პროცენტით ნაკლებია 2011 წლის III კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე და 7 პროცენტით აღემატება იმავე პერიოდის წინასწარ მაჩვენებელს.

ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2010-2012* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2010				2011				2012*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**166,5**	**208,3**	**225,6**	**214,1**	**209,7**	**248,3**	**316,6**	**342,6**	**269,4**	**219,4**	**195,4**
მათ შორის:											
შემომავალი ნაკადები	255,6	402,4	296,1	348,8	315,3	334,3	437,5	508,7	321,4	303,3	400,2
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-89,1	-194,1	-70,6	-134,7	-105,6	-86,0	-120,9	-166,1	-52,0	-83,9	-204,8

*წინასწარი მონაცემები.

2012 წლის III კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ძირითადი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №2):

ცხრილი №2. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2012 წლის III კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2010				2011				2012*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
სულ	**166,5**	**208,3**	**225,6**	**214,1**	**209,7**	**248,3**	**316,6**	**342,6**	**269,4**	**219,4**	**195,4**
მათ შორის:											
ნიდერლანდები	40,7	-9,3	20,3	21,7	39,4	20,5	108,1	73,8	-105,0	81,7	49,2
საერთაშორისო ორგანიზაციები	3,0	12,4	18,6	11,1	8,7	23,2	11,3	51,7	11,4	0,0	42,9
თურქეთი	33,3	12,6	24,7	21,2	16,1	21,9	27,5	10,0	32,2	10,9	32,7
გაერთიანებული სამეფო	9,1	23,7	12,4	13,8	39,3	5,2	5,8	4,7	27,3	12,1	14,9
იაპონია	15,7	18,3	3,8	-20,2	-8,2	3,6	10,6	17,0	21,6	11,9	13,6
აშშ	4,9	48,6	24,5	57,8	-26,3	51,5	-25,1	28,0	3,2	24,8	11,8
რუსეთი	5,6	19,4	17,3	5,6	21,4	12,0	8,4	13,6	6,5	1,4	11,8
ჩინეთი	-2,1	-4,3	-1,1	-0,3	3,1	0,4	4,1	2,1	0,7	3,4	10,7
დანარჩენი ქვეყნები	56,5	86,8	105,1	103,5	116,2	110,0	165,9	141,8	271,3	73,2	7,8

*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილმა 2012 წლის III კვარტალში 96 პროცენტი შეადგინა. პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №3, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 25 პროცენტით, მეორეზე - საერთაშორისო ორგანიზაციები 22 პროცენტით, მესამეზე - თურქეთი 17 პროცენტით.

დიაგრამა №3.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2012* წლის III კვარტალში (%)



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოცემულია ცხრილში №3:

ცხრილი №3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2010-2012* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2010				2011				2012*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
სულ	**166,5**	**208,3**	**225,6**	**214,1**	**209,7**	**248,3**	**316,6**	**342,6**	**269,4**	**219,4**	**195,4**
მათ შორის:											
საფინანსო სექტორი	10,4	26,0	53,2	17,8	37,6	26,7	47,8	55,5	62,5	18,6	46,1
ენერგეტიკა	16,0	-5,7	4,9	6,6	38,4	-7,5	82,4	90,7	18,3	74,9	40,2
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	15,0	33,6	38,5	128,0	0,7	60,6	28,5	36,7	38,1	58,1	32,6
დამამუშავებელი მრეწველობა	52,3	72,9	32,2	17,9	48,1	23,5	18,3	30,5	64,5	42,0	27,2
მშენებლობა	3,1	-7,3	7,9	1,0	20,3	22,6	4,5	0,7	-4,5	-4,3	10,0
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	3,3	2,9	0,8	1,7	2,3	2,4	6,1	4,1	5,6	6,4	7,7
დანარჩენი სექტორები	66,3	85,9	88,1	41,1	62,4	120,0	129,0	124,4	84,9	23,7	31,7

* წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი სექტორების წილმა (განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2012 წლის III კვარტალში 84 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 46 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 24 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი 40 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 33 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012 წლის III კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №4:

დიაგრამა №4.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012* წლის III კვარტალში (%)



* წინასწარი მონაცემები.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.